

1) მამამ მთლიან საზამთროს ორკილოგრამიანი ნაჭერი მოაჭრა და შვილებს გაუნაწილა. მოჭრილი ნაჭერი საზამთროს $\frac{1}{8}$ ნაწილი აღმოჩნდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) რამდენკილოგრამიანი ნაჭერი მოაჭრა მამამ მთლიან საზამთროს?
 1) 2 კგ-იანი 2) 3 კგ-იანი 3) 4 კგ-იანი 4) 5 კგ-იანი 5) 6 კგ-იანი

ბ) რას იწონიდა მთლიანი საზამთრო?
 1) 8 კგ-ს 2) 10 კგ-ს 3) 12 კგ-ს 4) 14 კგ-ს 5) 16 კგ-ს

გ) რას იწონის დარჩენილი საზამთროს ნახევარი?
 1) 4 კგ-ს 2) 5 კგ-ს 3) 6 კგ-ს 4) 7 კგ-ს 5) 8 კგ-ს

2) ბებია ერთნაირი ზომის ხაჭაპური, ლობიანი და პიცა გამოაცხო. ირმამ ხაჭაპური რვა ტოლ ნაჭრად დაჭრა და 4 ნაჭერი შეჭამა, თორნიკემ ლობიანი ოთხ ტოლ ნაჭრად დაჭრა და 1 ნაჭერი შეჭამა. ამის შემდეგ ირმამ იმდენი პიცა შეჭამა, რამდენიც ხაჭაპური, ხოლო თორნიკემ 2-ჯერ იმაზე მეტი პიცა შეჭამა, ვიდრე – ლობიანი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) ხაჭაპურის რა ნაწილი შეჭამა ირმამ?
 1) $\frac{1}{8}$ 2) $\frac{8}{4}$ 3) $\frac{3}{4}$ 4) $\frac{4}{8}$ 5) $\frac{4}{4}$

ბ) ლობიანის რა ნაწილი შეჭამა თორნიკემ?
 1) $\frac{1}{8}$ 2) $\frac{1}{4}$ 3) $\frac{3}{8}$ 4) $\frac{3}{4}$ 5) $\frac{5}{8}$

გ) პიცის რა ნაწილი დარჩა შეუჭმელი?
 1) $\frac{6}{8}$ 2) $\frac{5}{8}$ 3) $\frac{3}{8}$ 4) ნახევარი 5) პიცა მთლიანად შეიჭამა

3) მართკუთხედი, რომლის პერიმეტრი 76 სმ იყო, ისე დაყვეს რომ მიიღეს ორი კვადრატი და ერთი მართკუთხედი. მიღებული მართკუთხედის მოკლე გვერდის სიგრძე, მიღებული კვადრატის გვერდის სიგრძის ტოლია, ხოლო მიღებული თითოეული კვადრატის პერიმეტრია 32 სმ.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) რას უდრის მიღებული კვადრატის პერიმეტრი?
 1) 24 სმ 2) 32 სმ 3) 40 სმ 4) 44 სმ 5) 76 სმ

ბ) რას უდრის მიღებული მართკუთხედის მოკლე გვერდის სიგრძე?
 1) 24 სმ 2) 16 სმ 3) 14 სმ 4) 8 სმ 5) 6 სმ

გ) რას უდრის მიღებული მართკუთხედის პერიმეტრი?
 1) 60 სმ 2) 44 სმ 3) 36 სმ 4) 30 სმ 5) 22 სმ

4) 7 კილოგრამი ბალი და 2 კილოგრამი ატამი ერთად 34 ლარი და 50 თეთრი ღირს. 6 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად კი – 28 ლარი და 50 თეთრი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს 6 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად?

- 1) 25 ლ. 80 თ. 2) 25 ლ. 40 თ. 3) 34 ლ. 50 თ. 4) 82 ლ. 50 თ. 5) 28 ლ. 50 თ.



ბ) რა ღირს 7 კილოგრამი ბალი და 2 კილოგრამი ატამი ერთად?

- 1) 43 ლ. 50 თ. 2) 35 ლ. 40 თ. 3) 34 ლ. 50 თ. 4) 28 ლ. 50 თ. 5) 82 ლ. 50 თ.



გ) რა ღირს 1 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად?

- 1) 5 ლ. 2) 6 ლ. 3) 6 ლ. 50 თ. 4) 7 ლ. 5) 7 ლ. 50 თ.



დ) რა ღირს 5 კილოგრამი ბალი?

- 1) 21 ლ. 50 თ. 2) 22 ლ. 50 თ. 3) 23 ლ. 50 თ.

- 4) 24 ლ. 50 თ. 5) ამის გაგება შეუძლებელია



5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული სიგრძე?

- 1) გაორმაგებული 8 დეციმეტრი 2) 1 მეტრი და 60 სანტიმეტრი
3) 8 მეტრის მესუთელი 4) ნახევარი მეტრი და 110 მილიმეტრი 5) 1600 მილიმეტრი



6) შეკრიბეს სამი რიცხვი. პირველი შესაკრები მეორე და მესამე შესაკრებების ჯამის ტოლია. მესამე შესაკრები 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მეორე შესაკრები. რამდენჯერ მეტია პირველი და მესამე შესაკრებების ჯამი მეორე შესაკრებზე?


- 1) ორჯერ 2) სამჯერ 3) ოთხჯერ 4) ხუთჯერ

5) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით თითოეული შესაკრები რისი ტოლია



7) სამი ერთმანეთის ტოლი კვადრატის ერთმანეთზე მიდგმით მიღებული ABDFLM ფიგურის პერიმეტრია 72 სმ. რას უდრის MCDE კვადრატის პერიმეტრი?

- 1) 18 სმ-ს 2) 24 სმ-ს 3) 36 სმ-ს
4) 48 სმ-ს 5) 60 სმ-ს



8) კვადრატის შიგნით სამი წერტილია დასმული. თითოეულ წერტილზე უნდა გავავლოთ ერთი წრფე. ქვემოთ მოცემული, რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ოთხ ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ხუთ ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ექვს ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს შვიდ ნაწილად.

- 1) 1 2) 2 3) 3 4) 4 5) არც ერთი



9) ციფრებით: 2; 3; 4; 5 და 6 რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული ხუთნიშნა რიცხვის ჩაწერაა შესაძლებელი, თუ სამიანს და ხუთიანს არ დავწერთ არც თავში და არც ბოლოში? (გაითვალისწინეთ, რომ თითოეული რიცხვის ჩაწერისას უნდა გამოვიყენოთ ხუთივე ციფრი)

- 1) 12 2) 24 3) 30 4) 36 5) 40



10) იამ ჩაფიქრა რიცხვი. მან ამ რიცხვის შესახებ თქვა სამი წინადადება:

1. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი უნაშთოდ იყოფა ან 4-ზე, ან 5-ზე.
2. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვის ციფრთა ჯამი არის ან 12, ან 15.
3. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი ორნიშნაა.

მინიმუმ რამდენი რიცხვი უნდა დავასახელოთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს იას მიერ ჩაფიქრებული რიცხვი, თუ მას ტყუილი არ უთქვამს?

- 1) 3 2) 4 3) 5 4) 6 5) 7



11) ზღარბს სამით ნაკლები ვაშლი ჰქონდა, ვიდრე დათვის. ზღარბმა შეჭამა ხუთით მეტი ვაშლი, ვიდრე დათვმა. რამდენი ვაშლი გაუხდა დათვის, თუ ზღარბს გაუხდა 14 ვაშლი?

- 1) 19 2) 20 3) 21 4) 22

5) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით რამდენი ვაშლი შეჭამა თითოეულმა



12) სანდროს დიდი წითელი ქუდი აქვს, რომელსაც პატარა ლურჯი პონპონი აქვს. სალომეს პატარა ყვითელი ქუდი აქვს, რომელსაც დიდი წითელი პონპონი აქვს. ლადოს იმხელა ქუდი აქვს, რამხელა ქუდიც აქვს სალომეს. ლადოს ქუდის პონპონი და სანდროს ქუდი ერთი და იმავე ფერისაა. ლადოს ქუდს იმხელა პონპონი აქვს, რამხელა პონპონიც აქვს სანდროს ქუდს. ლადოს ქუდი და სალომეს ქუდის პონპონი ერთი და იმავე ფერისაა. როგორი ქუდი აქვს ლადოს?

- 1) ლადოს აქვს პატარა წითელი ქუდი, რომელსაც აქვს პატარა ლურჯი პონპონი;
- 2) ლადოს აქვს დიდი წითელი ქუდი, რომელსაც აქვს პატარა წითელი პონპონი;
- 3) ლადოს აქვს პატარა წითელი ქუდი, რომელსაც აქვს დიდი წითელი პონპონი;
- 4) ლადოს აქვს პატარა წითელი ქუდი, რომელსაც აქვს პატარა წითელი პონპონი;
- 5) ლადოს აქვს პატარა ყვითელი ქუდი, რომელსაც აქვს პატარა წითელი პონპონი.



13) თაროზე ქართულენოვანი, ფრანგულენოვანი და ესპანურენოვანი წიგნები აწყვია, სულ 20-ზე ნაკლები. ფრანგულენოვანი წიგნები 7-ით ნაკლებია, ვიდრე ქართულენოვანი წიგნები, ხოლო ესპანურენოვანი წიგნები ერთით მეტია, ვიდრე ქართულენოვანი და ფრანგულენოვანი წიგნები ერთად. რამდენი ესპანურენოვანი წიგნი დევს თაროზე?

- 1) 7 2) 8 3) 9 4) 10 5) 12



14) ბიდონში 11 კილოგრამი თაფლი იყო, ვედროში კი – 4 კილოგრამი. თითოეულ ჭურჭელში 5 დღის განმავლობაში თაფლს ამატებდნენ. ბიდონში ყოველდღიურად ოთხ კილოგრამ თაფლს ამატებდნენ, ვედროში კი – ყოველდღიურად ორჯერ იმაზე ნაკლებს, ვიდრე იყო წინა დღეს. ხუთი დღის შემდეგ რომელ ჭურჭელში იქნება მეტი თაფლი და რამდენით?

- 1) ვედროში – 625 გრამით 2) ვედროში – 725 გრამით 3) ბიდონში – 375 გრამით

- 4) ბიდონში – 625 გრამით 5) ორივე ჭურჭელში თაფლი თანარად იქნება